

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის განხორციელება
საქართველოს თავდაცვის სამინისტროში: ანტიკორუფციული
ორგანიზაციული გარემოს მარეგულირებელი მექანიზმების შეფასება

ნინო შანშაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ტანგიაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

სარჩევი

აბსტრაქტი	1
Abstract	3
შესავალი	4
ლიტერატურის მიმოხილვა	7
<i>საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები</i>	7
<i>საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამართლებრივი დოკუმენტები</i>	12
ანტიკორუფციული ორგანიზაციული გარემოს შეფასების ინდიკატორები, კვლევის საგანი და ობიექტი	16
მეთოდოლოგია	19
ცნებათა კონცეპტუალიზაცია	21
კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა (BI)	24
<i>კეთილსინდისიერების ამაღლების (BI) პროგრამის მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის</i>	24
<i>კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის (BI) ინსტრუმენტები</i>	25
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროგრესი BI -ის ფარგლებში და დღევანდელი პრაქტიკა	27
<i>შიდა აუდიტის დეპარტამენტი</i>	28
<i>ადამიანური რესურსების მართვა</i>	31
<i>თავდაცვის სამინისტროში BI-ის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები და სასწავლო კურსები</i>	33
<i>ქვევის ზოგადი წესები თავდაცვის სამინისტროში და მამხილებელთა დაცვის მექანიზმები</i>	35
BI-ის პროგრამის გამოწვევები თავდაცვის სამინისტროში და რეკომენდაციები	36
<i>შიდა აუდიტის დეპარტამენტის და ანტიკორუფციული ორგანიზაციული გარემოს მაკონტროლებელი სხვა მექანიზმების გამოწვევები და რეკომენდაციები</i>	36
<i>ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული გამოწვევები და რეკომენდაციები</i>	42

<i>ეთიკას და ქცევის ზოგად წესებთან დაკავშირებული გამოწვევები და რეკომენდაციები</i>	44
დასკვნა.....	46
ბიბლიოგრაფია.....	50

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:

MoD (Ministry of Defence) - თავდაცვის სამინისტრო

NATO (North Atlantic Treaty Organization) - ნატო

GI index (Government Defence Anti-Corruption Index) - სახელმწიფოთა თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსი

BI (Building Integrity) - კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა

TI (Transparency International) - საერთაშორისო გამჭვირვალობა

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი იკვლევს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინაშე არსებულ, კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული ორგანიზაციული გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეებს. საქართველო 2013 წლიდან შეუერთდა ნატოს “კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამას” (Building Integrity იგივე BI) და კორუფციული რისკების შემცირება, ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში კორუფციის რისკი თავდაცვის სფეროში მკვეთრად შემცირდა, “სახელმწიფოთა თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსი” (Government Defence Anti-Corruption Index, იგივე GI) თანახმად (Government Defence Anti Corruption Index, 2015), კვლავ რჩება მიმართულებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს.

კვლევაში ფოკუსი თავდაცვის სამინისტროს ანტიკორუფციული ორგანიზაციული გარემოს მარეგულირებელ მექანიზმებზე კეთდება და მიზნად ისახავს შეისწავლოს, არა მხოლოდ საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ, GI ინდექსის საშუალებით წამოჭრილი რეკომენდაციების უახლესი სტატუსი, არამედ შეაფასოს იმ მიმართულებების პრაქტიკაში განხორციელების ინსტრუმენტები, რომელთა გამოც ქვეყანამ ამავე ინდექსში კარგი შეფასება დაიმსახურა.

ნაშრომის საკვლევი კითხვაა: რა ფაქტორები აფერხებს თავდაცვის სამინისტროში, კეთილსინდისიერების ამაღლებასა და კორუფციული რისკების შემცირებას?

მოცემული კვლევა, მაფორმირებელი შეფასების (formative evaluation) მეთოდის გამოყენებით, მიზნად ისახავს ორგანიზაციაში(თავდაცვის სამინისტროში) მიმდინარე პროგრამის(BI) სრულყოფას (Hartson & Pyla, 2012). შესაბამისად, BI-ის განხორციელების გამოწვევების საპასუხოდ, ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანტიკორუფციული ორგანიზაციული გარემოს მარეგულირებელი მექანიზმების დახვეწის რეკომენდაციებს. ამგვარ მექანიზმებში კი იგულისხმება

როგორც ორგანიზაციის შიდა, ეთიკასა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმები, ისე ორგანიზაციული მოწყობის (მაგ: შიდა აუდიტის დეპარტამენტის საქმიანობა), კონტროლისა და ადამიანური რესურსის მართვის მექანიზმები.

საკითხის სიღრმისეული სწავლის მიზნით, კვლევა იყენებს სოციალური მეცნიერებების რაოდენობრივ და თვისებრივი კვლევის მეთოდებს. რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან ნაშრომში გამოყენებული იქნება კითხვარი, ხოლო თვისებრივიდან სიღრმისეული ინტერვიუები საკითხთან დაკავშირებულ ადგილობრივ ექსპერტებთან. ასევე, კვლევაში მოცემული იქნება დოკუმენტების ანალიზი, პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროების შესწავლა.

Abstract

The present study examines the difficulties of the mechanisms ensuring the integrity and anti-corruption organizational environment in The Ministry of Defence of Georgia (MoD). From 2013, Georgia joined NATO Building Integrity program, and combating corruption became one of its priorities.

Despite the recent decline in corruption in the defence sector of Georgia (Government Defence Anti Corruption Index, 2015), the Government Defence Anti-Corruption Index stated that there are still some issues, which need to be addressed.

The research focuses on the mechanisms of MoD, dedicated to creating an organizational environment free from corruption. Given paper evaluates not only the new status of the recommendations generated by the GI index but also assess the practical tools of some BI indicators in which Ministry was assessed positively.

The study aims to answer the following research question: what kind of organizational factors hinder building integrity process in The Ministry of Defence of Georgia?

The research uses formative evaluation method focused on improving the ongoing program (BI) in the organization (MoD) (Hartson & Pyla, 2012). Hence, in the response of challenges of implementing Building Integrity program, the paper creates recommendations about the policy, regulatory norms (e.g., code of conduct) and some mechanisms dedicated to developing transparent and accountable organizational environment, which itself is free from corruption.

To study the above-mentioned issue, the paper uses quantitative and qualitative research methods of social sciences, questionnaires, and in-depth interviews, respectively. Also, the study will analyze documents, primary, secondary and tertiary sources.